

საგზიელი

ქართული
ზინური

საორტული გაზეთი

ორშაბათი 15 მარტი 2004 №57 (2076)

ფასი 50 თეთრი

დანებდა!

შავით თათროზა
შავ-წითალთა
საუდაბო იწარება



REUTERS ტურინიდან

ტურინულ „დელე ალპის“ იშვიათად ნახავთ მაყურებლით პირთამდე სავსეს, არც გუშინ იყო გადაჭედული, მაგრამ საამსეზონოდ სარეკორდო, 52 000 მოსერიე კი შეიკრიბა, მაგრამ... მაგრამ თუ „იუვენტუსმა“ მომავალშიც 90 წუთის მერე ისევე დატოვა მოედანი, როგორც გუშინ, ვეჭვობთ, „დელე ალპის“ ტრიბუნებს ტიფოზები კვლავაც მიანყდნენ.

მართლაც დაბერებული „ბებერი ქალბატონი“ გუშინ სკუდეტოს მონყურებულ „მილანთან“ 1:3 შერცხვა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, „შავ-წითლებს“ იტალიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დანებდა. როგორ იქნებოდა, „იუვე“ — „მილანის“ შეხლაში გოლდაჩვეულ ანდრეი შევჩენკოს კვლავ არ გაეტანა, უკრაინელმა პირველი უთავაზა მასპინძლებს და მისი დანყებული საქმე ორჯერ შორიდან მადლიანად მოქნეული მარჯვენა-მარცხენით კლარენს ზეედორფმა დააგვირგვინა.

„მანჩესტერ სიტის“ ახალ სტადიონს კი გუშინდელი დერბის მერე ვინძლო, ადგილების დამატება დასჭირდეს — კევინ კიგანის „ცისფერები“ 4:1 გაუსწორდნენ თანაქალაქელ იუნაიტედელებს და, ფაქტობრივად, „არსენალთან“ საჩემპიონო რბოლას ჩამოაშორეს. და ამ მატჩის მშვენება „არსენალის“ ოდინდელი მთავარმეგობლის, იან რაიტის გერის, შონ რაიტ-ფილიპსის მართლაც საუცხოო გოლი გამოდგა.



იუვენტუსი — მილანი 1:3. ანდრეი შევჩენკომ და კლარენს ზეედორფმა „მილანი“ სკუდეტოს მიუახლოვეს

სურათები თასის ჩვეულებიდან

დღეს ნილისყრაა — დინამო — თბილისი — დილა — სვარტანი —
— ვიბ ჯორჯია — ბორჯედო — ბათუმი — ქობულეთი



„ლოკომოტივს“ თასის გზაზე წითელი „თბილისის“ მეკარემ სოსო გრიშკაშვილმა აუნთო



თასის ტორპედოელმა ბომბარდირმა სულაიკო დავითაშვილმა „სიონს“ სამი გაუტანა



ქუთაისელთა წარმატებაში მეკარე ზვიად სტურუაძაც არ უთქვამს ბოლო სიტყვა

გადრი კატიულაძის ფოტოები

გადრი კატიულაძის ფოტო

დავით ყიფიანის თასი

პერვედუნალი. საპასუხო მატჩი



სულიკო დავითაშვილს (№7) გოლები დგომელასაც გაჰქონდა და ჩოქელასაც

აბრეშულბაბი რას იყო, სულ იყო სულიკო

დავით ირაძე ბოლნისიდან

ვისაც ვპყვართ, გაგვატარეთო, იყო ასეთი ხუმრობა. ჰოდა, ქუთაისში გამოტორებულმა „ტორპედომ“ საკუთარი თავისა დაიჯერა და შემდგომი ეტაპისკენ რიხიანად გაიწია.

ქუთაისელებზე მოგება ალალია, მათი დაცვა იოლად იგერიებდა მასპინძელთა მოძალებას. ამ საქმეში განსაკუთრებით გამეზარდაშვილი გამოირჩა. თუმცა ტორპედოელთაგან საუკეთესო მაინც კომპაძე-ბაბუნაშვილ-დავითაშვილის სამეული იყო, ამ უკანასკნელმა კი სულაც პეთ-თრიქი დაახალა ყოფილ თანაგუნდელებს.

უსახური, უმომენტო ქუთაისური მატჩის შემდეგ ბოლნისში ნაღდი ფეხბურთი ვნახეთ. უამრავი სახიფათო მომენტი, მეკარეების და მცველების თავგანწირვა, ხუთი ლამაზი გოლი, თავდაუზოგავი ბრძოლა. „ტორპედო“ ამ სეზონზე თავის უკანასკნელ ევროშანს მყარად ჩაეჭიდა.

მაყურებელთა მხარდაჭერით შეგულიანებულმა ბოლნისელებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს. მე-2 წუთზევე ონიანის სახიფათო ტრაექტორიით გაშვებული ბურთი სტურუამ კუთხურზე გაჭირვებით მოიგერია. „სიონი“ უპირატესობას რომ დაეუფლა, აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა, ტორპედოელებმა კი, თითქოს ამას ელოდნენ, სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს. მე-14 წუთზე თოდუამ ფლანგზე ბურთი კომპაძეს გაატანა, მან დარტყმა კი მოახერხა, მაგრამ ვოლკოვს ვერ აჯობა, სამაგიეროდ, მეკარის მოგერიებულ ბურთს პირველმა დავითაშვილმა მიუსწრო და „ტორპედო“ დააწინაურა. ბოლნისელებმა ბურთი ცენტრიდან გაათამაშეს თუ არა, კინაღამ ანგარიშიც გაათანაბრეს. დოლიძის ჩაწოდებულ ბურთს თავით გონხაროვი შეეგება, სტურუა გაფრინდა და ბურთი ცხრიანიდან მოხსნა, თუმც მას ხარიხაც წაეხმარა. მე-20 წუთზე. გაბისკირიამ 27 მეტ-

სიონი: ვოლკოვი, ხუჯაძე (დოლიძე 7, გ. შენგელია 73), ჭიჭეიშვილი, ს. ბურნაძე, დარსანია (პ. ნიენივაძე 45), უგრეხელიძე, რ. ონიანი, ბაქრაძე, გაბისკირია, გონხაროვი, ისიანი სათადარიგო: ა. ლაბაძე, სვანიძე, ე. გვასალია მწვრთნელი: თემურ მახარაძე	ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ლ. ჭელიძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, კომპაძე, მემარნიშვილი (მუმლაძე 77), ნერგაძე (გ. ჩხეტიანი 72), ჭინჭარაული, ბაბუნაშვილი, დავითაშვილი სათადარიგო: გ. გაბელია, ნ. ნადირაძე, ლაღაძე, გ. დარსაძე, ადუაშვილი მწვრთნელი: ოთარ გაბელია
გაზრმინები: თოდუა (38), გაბისკირია (59), ონიანი (90)	
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ხ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); გ. ცირცია (გულრიფშე); დ. სანაია (სოხუმი)	
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია	


70-ე წუთზე კი გაბისკირიამ საჯარიმოდან ბურთი ცხრიანიში გაგზავნა, მაგრამ სტურუამ ურთულესი ნახტომით მოიგერია. ბოლნისელები მთელი გუნდით წინ დაიძრნენ და „ტორპედომ“ მესამედაც არ აპატია ეს მასპინძლებს. დავითაშვილი ვოლკოვთან პირისპირ დარჩა, მეკარე დააწვინა და ცარიელ კარში გაიტანა. „სიონმა“ კი მეორედ ისიანის პასითა და შენგელიას ლამაზი თავურით იხიერა.

მატჩის შემდეგ ტორპედოელთა მთავარი მწვრთნელის ოთარ გაბე-

ლას კომენტარი ასეთი იყო: „ძალიან რთული და პრინციპული მატჩი მოვიგეთ. „სიონი“ საკმაოდ კარგი გუნდია და მასთან ბოლნისში მოგება ნებისმიერს გაუჭირდება. ვიცოდი, რომ მეტოქე დიდი ძალებით შემოგვიტევედა, აქცენტს მაღალ ბურთებზე გააკეთებდა. ამიტომ ბიჭებს დაცვაში ხისტი თამაში და სწრაფი კონტრშეტევები მოვთხოვე. ამ ამოცანას მათ თავი კარგად გაართვეს. რაც შეეხება მეოთხედფინალში ჩვენს მეტოქეს, ერთადერთი, ვისაც არ ვისურვებდი, „დინამო“.



„ტორპედოს“ გულის გამეზარებული სამგოლა დავითაშვილი



— ბოლნისელთათვის ჩვეულ ფეხბურთისადმი ყურადღებიან დამოკიდებულებას, სანიმუშო დასწრებას და ანგარიშგასაწევი გუნდის ჩამოყალიბების სურვილს რაიმე საფრთხე ხომ არ ეშუქება?

— მართალია, „სიონს“ დიდი ტრადიციები არ გააჩნია, მაგრამ რაც ამ გუნდის გარშემო ბოლო

ფეხბურთი ურეკოლუხოდ

ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ ზოგიერთი ქართული კლუბის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. აკაკი ჩხაიძე და ზურაბ ჯაფარიძე თანამდებობებზე აღარ არიან. თუმც „ლოკომოტივი“ ნელ-ნელა გონს მოდის და ძალებს იკრებს, ოლონდ ჩხაიძის გარეშე. ბოლნისის ყოფილი გამგებელი და „სიონის“ მოამაგე ზურაბ ჯაფარიძე დავით ყიფიანის შემთავადა. საბედნიეროდ, იგიც ფეხბურთის მოყვარული ყოფილა და როგორც გვითხრა, დაინტერესებულია, რომ რეგიონში ფეხბურთი არ ჩაქვდეს. მისი პირველი სტუმრობა „სტეფანიაზე“ „სიონისთვის“ უიღბლო გამოდგა. თუმცა გამგებელი საკმაოდ ყინიანად ქომაგობდა ბოლნისელებს, სანამ ქუთაისელებმა მესამე გოლი არ გაიტანეს, თავის ადგილზე არც დაშვდარა.

ბოლნისელთა ახალი გამგებელი დავით ჭიჭიკოშვილი „სიონის“ მომავალზე გვესაუბრება

პერიოდში ხდებოდა, იმას გაფრთხილება უნდა. მე შევხვდი გუნდის მწვრთნელებს, ფეხბურთელებს და ყველა დავარწმუნე, რომ კლუბისადმი ჩვენი დაინტერესება არ შენელებულა. „სიონს“ საკმაოდ პერსპექტიულ გუნდადაც აღვიქვამ. კლუბს ჩვენ მარტივი გეგმა დაუუსახეთ, თუ ისინი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს წარმოაჩენენ, ჩვენ, ჩვენი მხრივ, არაფერს დავიშურებთ. ასე რომ, ბოლნისში ფეხბურთს ჩაკდომა არ უწყია.

— მოკლედ რომ ვთქვათ, პირადად ბრძანდებით დაინტერესებული, რათა ბოლნისმა ფეხბურთი არ დაივიწყოს...

— ამ რეგიონს ყველა პირობა

აქვს, რათა ფეხზე დადგეს და გუნდიც ხეირიანი ჰყავდეს.

— რეგიონი ახსენეთ და, ფაქტია, იქ სადაც არაქართული მოსახლეობის პროცენტი საკმაოდ მაღალია, ფეხბურთი თავისი ქართული მუხტით პოლიტიკურ დატვირთვასაც იძენს.

— გეთანხმებით. ბოლნისის „სიონი“ წარმოადგენს რეგიონში ქართული ერთობისა და მენტალიტეტის ერთიანობას. ამიტომ გუნდიც ყოველთვის სხვაგვარად შემართული და მონდომებული უნდა იყოს.

— ზემოთ კლუბის შესაძლებლობები ახსენეთ. „სიონს“ წლეულსაც რომ მოუწიოს უეფას თასზე თამაშმა, რამდენად მზად შეხვდებით ამას?

— პირველ რიგში, გუნდმა შედეგი უნდა გვანახოს, თუ ეს იქნება, შემდეგ უკვე ჩვენ ვიქნებით ვალდებული, ყველა პირობა შევუქმნათ, სტადიონით დაწყებული, ბაზით დამთავრებული. თუმცა ჯობს, ჯერ სურვილებზე ნუ ავეწყობით და უფრო რეალისტები ვიყოთ.

— ბატონო დავით, ფეხბურთთან აქამდე როგორი ურთიერთობა გქონდა?

— როგორც ქართველების დი-

დი ნაწილი, ბავშვობაში ფეხბურთს ვთამაშობდი. კარიერა ამ მიმართულებით არ გამოვრძელებია, მაგრამ დღესაც ვრჩები სპორტის ამ სახეობის დიდ დამფასებლად.

— როგორც ბოლნისელი, რით ახსნით ამ ქალაქში ფეხბურთის ასეთ პოპულარობას?

— ეს ძალიან ბევრ ფაქტორზე დამოკიდებული უღიღესი როლი ითამაშა წინამორბედი ხელმძღვანელობის საქმიანობამაც. ბატონი ზურაბ ჯაფარიძე ფეხბურთის დიდი ქომაგი გახლდათ და ბევრიც გააკეთა ჩვენში მის ასალორდინებლად.

— საქართველოს პრეზიდენტმა ფეხბურთი პირად კონტროლზე აიყვანა. ესაა ხომ არ იქნება ერთგვარი გამოწვევა, რათა თქვენც შეიტანოთ წვლილი ქართული ფეხბურთის მორღონიერების საქმეში?

— თავისთავად. ფეხბურთი ქართველების ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა და კარგი იქნება, თუ შედეგებიც მოვა. როგორც ბოლნისელი კაცი, აქ დაბადებული და გაზრდილი, ბუნებრივია, დაინტერესებული ვარ, რათა ბოლნისში ფეხბურთი მაღალ დონეზე იყოს ახლაც და მომავალშიც.

დავით ყიფიანის თასი

პირველადი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 13 მარტი. 15 საათი. ინსანი. 3 000 (ტევადობა 3 000)
თბილისი 1:0 დ.დ. (პენ. 4:3, 1:0) ლოკომოტივი (0:1)

1:0 მანკავა (8ს.კ.)	
თბილისი: გრიშკაშვილი, გ. ნუგ. ჭელიძე (გენაძე 76), ელიავა, ქემოკლიძე, მიკულაძე, სოჯავა, კვარაცხელია, სიდამონიძე (დ. ოდიკაძე 69), აფციაური, მესხი, ფიფია (გ. ნოდ. ჭელიძე) სათადარიგონი: ნაჭყებია; ლოლაძე, მიქიაშვილი, ჯიქია მწვრთნელი: გიორგი დევიდარიანი	ლოკომოტივი: მამალაძე, ზამთარაძე, ი. ვაშაძე, ორბელიანი, სალუქვაძე, სახვაძე, ძამსაშვილი, მანკავა (სოსელია 120), დათვაძე (სვანაძე 62), გ. ვ. მიქაძე, ზირაქიშვილი (სანიკიძე 13) სათადარიგონი: ხაჩირაშვილი; ლილუაშვილი, დავითულიანი, მორჩილაძე მწვრთნელი: ზაურ სვანაძე
ბაზრისილი: მანკავა (8), მიკულაძე (31), დათვაძე (52), სახვაძე (53), ზამთარაძე (55), სახვაძე (60), კვარაცხელია (62)	
ბაძიძე: სახვაძე (60)	
მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედიის); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)	
სფზ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი	



„ლოკომოტივს“ სათასო გზიდან ამ ავტოგოლმა გადაახვევინა

აჯობა თუ მსაჯობა?



წუხილი და სიხარული მერაბ მალალურაძის ფონზე

კობა ინასარიძე

მატჩის ოქმს თუ ყურადღებით ჩაიკითხავთ, მიხვდებით, რომ მეორე ტაიმის დაწყებისთანავე არბიტრმა მალალურაძემ თავისი გადაწყარბებული სიმკაცრით სტუმრებს ხელ-ფეხი შეუკრა და თამაშს საშუალება არ მისცა. სამ წუთში მალალურაძემ ზედინდელ სამი რკინიგზელი გააფრთხილა. მე-61 წუთზე კი სახვაძე მოედნიდანაც დაითხოვა. არადა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა — ორთაბრძოლისას სახვაძე მეტოქეს უკნიდან მხარზე შეეხო, თბილისელი წაბორძიკდა და დაეცა. ეს ყველაფერი მასპინძელთა ნახევარზე მოხდა, ანუ „ლოკომოტივის“ კარს საფრთხე არ ემუქრებოდა. არბიტრმა კი უცერემონიოდ აუფრიალა სახვაძეს წითელი, მოედნიდან გაისტუმრა, შეიძლება ითქვას, თამაში თავის კარნახით წაიყვანა და მატჩზე გაველენა გააძლიერა. ამის შემდეგ მალალურაძისგან დამფრთხალი „ლო-

კომოტივი“ ხისტ თამაშს მაქსიმალურად ერიდებოდა, ერთი გაძევება ცოტა იყო!

„თბილისის“ უპირატესობაც მე-60 წუთიდან აშკარა გახდა. თუმცა იქამდე, უფრო სწორად, შესვენებამდე, თამაში პირველი შეხვედრიდან დაწინაურებული „ლოკომოტივისა“ იყო. სტუმრებსვე ჰქონდათ პირველ ტაიმში ერთი-ორი საგოლე შანსი და ამათვინ ერთი რომ გამოეყენებინათ, „თბილისს“ საქმე ცუდად წაუვიდოდა — სტუმრად გატანილის ფასი ხომ იცით.

პირველი მომენტი „თბილისის“ კართან მატჩის დასაწყისშივე შეიქმნა — დათვაძის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გრიშკაშვილმა ზედ კარის ხაზზე მოიგვრია, დამატებაზე კი შემტევებმა ვერ ივარგეს. რამდენიმე წუთში მიქაძემ გამოზომილი პასით ზირაქიშვილი დატოვა მეკარესთან პირისპირ. სიქარეკერეფილი ფორვარდი საჯარიმოში შეიჭრა, მაგრამ შორეული კუთხისკენ ხუსტად ვეღარ დაარტყა, სამაგიეროდ კი, მის ფეხებში ჩაწოდებული კვარაცხელიას ფეხი მიიღო და ექიმთა დახმარების მიუხედავად, მოედანი საკაცით დატოვა. მეორე ისევ დათვაძის კუთხურები იყო, ზედინდელ ორი, ორჯერვე ძალიან სახიფათო, თუმცა ისევ იყოჩაღა გრიშკაშვილმა.

შესვენებამდე მეტი საინტერესო აღარაფერი მომხდარა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, „ლოკომოტივი“ პირველ მატჩში მოპოვებულ უპირატესობას არ გაფლანგავდა, მაგრამ... როგორც ვთქვით, მატჩი მალალურაძემ ყვითელი ბარათების ფრიალით განაახლა, რითაც „ლოკომოტივის“ უსიტყვოდ აგრძნობი-

ნა, წესის ყოველი დარღვევისთვის უმკაცრესად დაისჯებოდა. აკი დასაჯა კიდევ სახვაძე — მარცხენა ფლანგის ბატონ-პატრონი.


კაცნაკლული „ლოკომოტივი“ კი მოიშალა, ამას დაემატა მასპინძელთა მეტი აგრესია და საბოლოო უპირატესობა, რისი ლოგიკური ბოლოც მანკავას საკუთარ კარში ჩაჭრილი ბურთი იყო. ეს გოლი არ იქნებოდა, იქნებოდა სხვა, გოლი მომწიფებული ჩანდა. მანკავამ კი ის თავური მარჯვენა ფლანგიდან აფციაურის ჩაწოდებულს მიაყოლა და ბურთი ცხრიანში შეაგდო.

მერე „ლოკომოტივი“ მიღალ აირია. მოედანზე მარცხენაფლანგელი გეწადის გამოჩენამ „თბილისის“ იერიშები უფრო გაამწვავა და ძირითადი დროის დამთავრებამდე სტუმრები რამდენჯერმე სასწაულით გადაურჩნენ მეორე გოლს, მამალაძემაც იყოჩაღა და თავდამსხმელებსაც საგოლე ალღომ უმტყუნათ.

დამატებით დროში „ლოკომოტივი“ მეტოქის ნახევარზე ორ-სამჯერ თუ გაიჭრა, თუმცა მხოლოდ მიქაძე მასპინძელთან ვერას გახდა, ბურთი გრიშკაშვილამდეც არ აღწევდა. „თბილისის“ გათამაშებული ბურთი კი „ლოკომოტივის“ საჯარიმოს გარშემო ტრიალებდა და მამალაძის კართან რეალური მომენტი აღარ შექმნილა.

პენალტებში კი ისევ გრიშკაშვილმა იყოჩაღა. მან მიქაძისა და ზამთარაძის დარტყმულები მოიგვრია, მამალაძემ კი მხოლოდ კვარაცხელიას აჯობა. დანარჩენი ოთხი პენალტი თბილისელებმა უნაკლოდ შეასრულეს და მეოთხედფინალიც დაიბევეს.

არჩილ სახვაძე: მალალურაძემ ტექნიკურად მოგვშალა



თასის მერვედფინალებში ყველაზე გამოსარჩევი და საინტერესო დაპირისპირება „ლოკომოტივი“ — „თბილისის“ იყო. მეოთხედფინალში „თბილისის“ ვავიდა, თუმცა რკინიგზელთა გუნდი ისანში საპასუხო მატჩის შემდეგ მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. „ლოკომოტივის“ მარჯვენაფლანგელი არჩილ სახვაძე მე-61 წუთზე არბიტრმა მერაბ მალალურაძემ მეორედ გააფრთხილა და გააძევა, რამაც ფაქტობრივად გადაწყვიტა კიდევ მატჩის ბედი. გუნდის სწორედ სახვაძეს ვთხოვეთ საამმატჩო კომენტარი...

— შეიძლება ითქვას, რომ მერაბ მალალურაძემ „ლოკომოტივი“ ტექნიკურად მოშალა — მეტოქემ ორი მატჩის ჯამში, ფაქტობრივად, ვერაფრით გვაჯობა, მაგრამ თასიდან ჩვენ გამოვვარდით.

— როგორ ფიქრობ, ყვითელ ბარათებს არ იმსახურებდი?

— პირველი ყვითელი ბარათი სულ ტყუილუბრალოდ მომცეს. მეორე კი ბურთისთვის ვიბრძოდი მეტოქე ფეხბურთელთან — ისეთი ეპიზოდი არ იყო, რომ გინდა თუ არა, ყვითლის ღირსი ვიყავი, მაგრამ... ისე გამოვიდა, „ლოკომოტივი“ მე დავლუპე.

— „ლოკომოტივი“ მეოთხედფინალში რომ ვერ ვავიდა, მსაჯს აბრალებ?

— საპასუხო შეხვედრაში ისეთი მსაჯობა იყო, რომ „ლოკომოტივის“ შემდეგ ეტაპზე გასვლა არ ეწერა. თუნდაც ის რად ღირს, რომ მანკავას და ზირაქიშვილს გამეტებით ეუხეშნენ მეტოქის მოთამაშეები, მაგრამ მსაჯს ისინი არც კი გაუფრთხილებია.



პენალტები — სოსო გრიშკაშვილმა ზაზა ზამთარაძეს აულო, ზურაბ მამალაძემ კი ერთი აღებული პენალტით „ლოკომოტივს“ ვერ უშველა

ინგლისი

პრემიერლიგა XXVIII ტური

გამტარების 0:2 არსენალი
0:1 ანრი (57), 0:2 ბირესი (87)
გამტარების: ფრიდელი, ნაილი, ტომ...

გოლტონი 0:2 ჩილსი

0:1 ტერი (71), 0:2 დაფი (74)
გოლტონი: იასკელიანი, ჰანტი, ტომ...

ჩარლტონი 1:0 მიდლსბრო

1:0 პოლანდი (25)
ჩარლტონი: კიელი, იანგი, ფიში, პერი...

ვულველი 2:0 ლიდსი

1:0 დევისი (71), 2:0 ბოა მორტიე (83)
ვულველი: ვან დერ ხარი, ვოლცი, ნა...

ევერტონი 1:0 პორტსმუთი

1:0 რუნი (78)
ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, იობ...

მანჩესტერი მანჩესტერულია ოფსი დაჯინი

პრემიერლიგა 0:1 ლსტერი

0:1 ფერდინანდი (53)
პრემიერლიგა: მაიკ ტეილორი, ტეილო...

ვულვერჰემტონი 0:4 ასტონ ვილა

0:1 პიტსერგრევი (7), 0:2 მელბერგი (18)...

მანჩესტერ სიტი 4:1 მანჩესტერ იუნაიტედი

1:0 ფაულერი (3), 2:0 მაკენი (32), 2:1 სქოულზი (35)...

ტოტენჰემი 1:0 ნიუკასლი

1:0 ობრაინი (86ს.კ.)
ტოტენჰემი: კელი, კარი, ტარიკო, დო...

ნიუკასლი: გიფენი, ობრაინი, ა. ჰიუზი

ნიუკასლი: გიფენი, ობრაინი, ა. ჰიუზი (ამეობი 89)...

„მარშ“ „ბლეკბერნ“ ორივე თამაშში მოულოდნელად აწინააღმდეგა...

„საერთოდ დალილები ენანდით — თქვა არსენ ვენგერმა — ოლონდაც...

რველ ტაიში გასაქანი არ მისცა სტუმრებს...

ბოლტონელთა მწვერული იყო გრემ პოლის მსჯობით, პენალტი გვერდობოლო...

დღის ყველაზე გახარებული კაცი კი „ლეიტონის“ ტანჯული მენეჯერი მიკი ადამსი იყო...

ამ გამარჯვებით „არსენალმა“ შეინარჩუნა ცხრაჟულანი სეზონა უახლოეს მდევართან „ჩელსი“...



მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნაიტედი. ტიმ ჰოვარდს შეცვალა ჰეილბრუნი

Table with columns for team names and statistics: 1 არსენალი, 2 ჩილსი, 3 მანჩესტერი, etc.

Table with columns for team names and statistics: 10 პორტსმუთი, 11 საუთჰემპტონი, 12 მიდლსბრო, etc.

Table with columns for team names and statistics: 15 სიტი, 16 ვულველი, 17 ლივერპული, etc.

Table with columns for team names and statistics: 18 ბრისტოლი, 19 ნორვიჩი, 20 კარდისი, etc.

Table with columns for team names and statistics: 21 ანრი (არსენალი), 22 ვან ნისტელროი, etc.

ამ გამარჯვებით „ლეიტონი“ ბოლო სამეულს ასცდა, იქ კი ჩაგარდა...

ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საფურსისთვის ბრძოლაში შაბათს წინ წა...

ინგლისი პრემიერლიგა

Table with columns for league names and statistics: I დივიზიონი, II დივიზიონი, III დივიზიონი, etc.

იტალია

სერია A XXV ტური

რეჟონი 0:0 რომა

რეჟონი: ბელარდი, ფირანევი, ტორი...

მწვრთნელი: ჯანვარლო კამოლეზე

მსაჯე: პაპარესტა

25 000 მაყურებელი

ლაციო 2:2 უდინეზა

1:0 მუცი (5), 2:0 ინაგა (6), 2:1 კასტ...

ლაციო: პერუცი, ოდო, სტამი, მიხაი...

მწვრთნელი: რობერტო მანინი

უდინეზა: დე სანტისი, ბერტოლო...

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

მსაჯე: ტრეფოლონი

40 000 მაყურებელი

პარმა 2:2 ბრეშა

1:0 კარბონე (5), 1:1 დი ბიჯო (32), 2:1...

პარმა: ს. ფრეი, ბონერა (ოიოლა 46),...

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

ბრეშა: კასტელაცი (ალბარდი 51), ფ...

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიჯი

18 000 მაყურებელი

ინტერი 0:0 კიევი

ინტერი: ტოლოდი, გამარა, ადანი, ფ...

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

კიევი: მარკეჯანი, მორი, დანა, ბა...

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

40 000 მაყურებელი

სამპდორია 3:2 ბოლონი

1:0 ვოლპი (9), 1:1 სინიორი (10), 2:1...

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი...

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინი

ბოლონი: პალოუკა, ძაკარდო, ნატა...

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპოლო

მსაჯე: კარლო მაცონე

რომაული ოთხთავი ბაჯოს 200 სიხარული



გაფრთხილება: დონი, ნერვო, კონტე...

მსაჯე: გაბრიელე

26 000 მაყურებელი

ემალი 0:0 ლეჩა

ემალი: ბალი, კუბი (ფოჯა 58), კრი...

მწვრთნელი: ატილიო პეროტი

ლეჩა: სიჩინიანი, სივილია, ბოვო...

მწვრთნელი: დელიო როსი

გაფრთხილება: ბოლანო, ვარგასი, კ...

მსაჯე: მესინა

5 600 მაყურებელი

იუვენტუსი — მილანი

ნუხელ გვიან დამთავრდა

მოსახლენი მოხდა, ლიდერთა დ...

მსაჯე: მესინა

5 600 მაყურებელი

სერია B XXXII ტური

ალბინოლაცი 0:0 ჯენოა

ფიორენტინა 2:1 პალერმო

0:1 ტონი (20), 1:1 დი ლივიო (34), 2:1...

სამპდორია 2:1 სალერნიტანო

0:1 ბოგდანო (46), 1:1, 2:1 კუტუზოვი...

წავა. იმ შეხვედრისგან განსხვავებით „რეჯინას“ წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაშივე იყვნენ ფრანკესკო ტოტი და კრისტიან კიუ...

შემდეგ ისე სტუმრები აქტიურობდნენ. ძელს გაარტყეს კივუმ და ტოტიმ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა — „რომამ“ ორი ქულა დაკარგა.

საბამისად იყო მასპინძელ ქომაგთა აქცია: პირველი ოთხ წუთის განმავლობაში ჩრდილოეთ კარიბინა, რომელზეც ტრადიციულად შავ-ლურჯი ეკიპაჟები მსდებოდა, ცხრილი იყო. ძე მხოლოდ პლაკატი გამოეფინათ — „ბოლიში, გალოდინებთ“...

Table with match results and scores for various teams in Serie B, including AlbinoLeffe, Fiorentina, Sampdoria, etc.

საფეხბურთო

Table with football match results and scores, including teams like ლეონი, სოლო, and მონაქო.

REUTERS სოლოდან



სოლო — ლიონი. ედმონსონის საგოლე სრიალი

კალიფორნია მთიანეთში სერია გადამო

ბითურა და ზუსტი დარტყმით პირველივე ტაიმში გაქვითა. მეორე ნახევარში ედმონსონმა ბრწყინვალე საჯარიმო შეასრულა და „ლიონმა“ მნიშვნელოვანი მატჩში იმარჯვა.

ლა „მონაქოში“ დაწოლას ვეღარ გაუძლო. ლეონი კიდევ ორჯერ იხეირა, ლაფურსადმა კი მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლო.

ლლოვანმა რვა შეხვედრაში მეორე გოლი გაიტანა და თავისები დააწინაურა, შემდეგ სილვენ არმანდმა შეაგდო, მაგრამ მეტელებმა მეტი მენიარა და ტოიფილუ მალედიას ზუსტი დარტყმებით გაათანაბრეს.

კატანიამ გახსნაზე იცეკვა

რუსეთი

Table with football match results and scores, including teams like კრილია სოვეტოვი, კატანია, and ალანია.



ცეკვა — ტორპედო-მეტალურგი. იგორ ანდრეევი არმიელთა კარს ვარისკაცივით იცეკვა

„ჩვენ ფაქტობრივად, სულ ახალი გუნდი გვყავს და ჩემპიონთან თავის გამოჩენა გვსურდა. ვფიქრობ, რომ ფრე ლოგიკური შედეგია“ — თქვა პეტრაკოვიცმა, ხოლო პორტუგალიელმა დასძინა: „საკმაოდ ძლიერ მეტოქეს შევხვდით, რომელმაც პირველ ნახევარში გვაჯობა, მეორე ტაიმში კი ჩემი ბიჭები გამოსწორდნენ. ვიმედოვნებ, ამის შემდეგ ყველა მატჩში ასე ვითამაშებთ“.

ტანიამ მეტრე ვუთხე პენალტი გაიტანა და ჩვეულად იცეკვა. „სატურნმა“ ონიპკოს მოჭრილი დარტყმით მალევე გაათანაბრა. სტუმრებს სამი ქულის წაღებაც შეეძლოთ, მაგრამ მეორე ტაიმში მეკარესთან პირისპირ გასულმა მედვედმა ბურთი ძელს მიატყვა.

ქით, თავისებს დაცვა დაუწუნა: „საკუთარ საჯარიმოში ბურთის დაკარგვა დაუშვებელია, ვინ გააბატებს? სწორედ ამიტომ ვაგუშვით გოლი“. მოსკოვში დერბი გაიმართა — „სპარტაკი“ და „დინამო“ რუსეთის დამოუკიდებელ ჩემპიონატში 2-4-ჯერ შეხვდნენ. „სპარტაკმა“ 13-ჯერ მოიგო, სამჯერ დამარცხდა და რვა შეხვედრა ფრედ დამთავრდა. ახლა ფრეების რიგს კიდევ ერთი მიემატა. დინამოელები დიატელის გოლით დაწინაურდნენ, კალინინეცომ გაქვითა. შემდეგ კი პარფიონოვმა მეორე გაიტანა, მაგრამ ზონინამ მეორე ნახევრის დასაწყისში გაათანაბრა. სანკტ-პეტერბურგში „ზენიტმა“ გამოცდა ჩააბარა. „როტორი“ ესიპოვის დუბლით იგებდა და შესვენებამდე ერთ-ორი მომენტიც რომ გამოეყენებინათ, ვოლგოგრადელები, ალბათ სამ ქულას წაიღებდნენ. მასპინძელთა მწვერთვლმა მეორე ტაიმში ორი ფეხბურთელი შეცვალა და მატჩის ბედი სათავესოდ შემოაბრუნა. შეცვლაზე შესულმა ბისტროვმა ერთი გოლი უმაღლეს გაქვითა, მარემმა და კერუაკოვმა კი ოთხწუთიან მონაკვეთში იხეირეს და „როტორი“ გააოგნეს. დონის „როტორი“ სეზონის წინ გამაღებელი ემზადებოდა, მაგრამ პირველივე ტურში „ტორპედოსთან“ შერცხვა. ლებედენკომ შეხვედრის დაწყებიდან ნახევარ საათში სტუმრები დააწინაურა. მასპინძელთა მწვერთვლმა ამის შემდეგ სცადა შეტევის გაძლიერება. მოედანზე რატი ალექსიძე შეუშვა, მაგრამ იერიშებში გართულ დამხვედურებს მეტოქემ კიდევ სამჯერ გაუტანა. პრემიერლიგის ახალწვეულები უგოლოდ, მშვიდად დაშორდნენ ერთმანეთს. „ყუბანმა“ და „ამკარმა“ თითო-ქულა მიითვალეს.

გაზა ხუციშვილი

Table with football match results and scores, including teams like მონაქო, ლიონი, პსჟ, სოლო, ოსერი, მარსელი, ნანტი, ნიტა, ლანსი, ლილი, ბორდო, რენი, სტრასბური, ბასტია, ტულუზი, გენგამი, აიაჩო, მეცი, მონპელიე, ლე მანი.

II ლიგის შედეგები

Table with football match results and scores for the second league, including teams like ანჟერი, რუანი, ნიონი, ტრუა, ნანსი, გრენობლი, ისტრი, სენტ ეტიენი, კაენი, ლე ავრი, სედანი, შატორუ, ტრუა, კრეტეი, კლერმონი, გრენობლი, ვალანსი, ლავალი, ანჟე, ტენისონი, ბენიონი, რუანი.

უფიციარია

სუპერლიგა XXIII ტური

Table with football match results and scores for the Super League XXIII round, including teams like ბასსპოპირი, ნუნიესი, სირაპტი, მორდუკო, სინტ ბალენი, პორტილიო, ტაჩე-მენსა, ინანზ ბონისი, კენზი.

ჩელენჯლიგა XXI ტური

Table with football match results and scores for the Challenge League XXI round, including teams like ანო, ბადენი, სიონი, დელემონი, ბულენი, კონკორდია, ბელინცონა, კიასო.

პოლონეთი

პირველი ლიგა XIV ტური

Table with football match results and scores for the Polish First League XIV round, including teams like ლეგია, პოლონია, ლეგია, გროცლინი, კატოვიცე, გურნიკი, ვისლა, ამიკა, ლეგია, გროცლინი, ლეგია, პოლოცკი, კატოვიცი, კატოვიცი, ოდრა, ლეგია, ვიდევი, პოლონია, პოლოცკი, პოლოცკი, პოლოცკი, პოლოცკი, პოლოცკი.

REUTERS ლონდონიდან



მართალი გრეგი

პიტროუს აეროპორტში ცოლი ლუსი დაუხვდა გრეგ რუზუცკის. შარშან მის სისხლში ნანდროლინის აღმოჩენის მიუხედავად რუზუცკი ვაამართლეს, რაზეც ეს პროკურატა თანდათანობით, სხვა წამალთან ერთად დაღუპილია მის თრგანებში.

REUTERS პარიზიდან



მარტონელა რეკორდსმენი

ეს გმირი კაცია. მარტონელა ზღვაოსანი ფან ლუკ ვან დენ ედუ შამპანურით აღნიშნავს პარიზში მისვლას. 122 დღე, 14 საათი, 3 წუთი და 49 წამი მსოფლიოს ვარსემით, აღმოსავლეთიდან დასავლეთით — აი, ახალი მსოფლიო რეკორდი დედამიწის გარშემო ნავით მარტოდ ცურვისა.

ლენტი

ცოცხალი სამგლოვიარო ლენტი ბარსელონის ერთ-ერთ აუზში — ეს სამგლოვიარო მიმბოლო ესპანეთის ნიშნად იქცა იმ მხეცური ტერაქტის შემდეგ, მადრიდში რომ განხორციელდა 11 სექტემბერი.



REUTERS ბარსელონიდან

შვედი ისვენებს

შვედი ანია პაერსონი სლალომის შემდეგ ჩამოშვდარა და ისვენებს, კი ეკუთვნის დასვენება სესტრიერეში მიმდინარე სამთო თხილამურების მსოფლიო თასის დამხურავ ეტაპზე. პაერსონი ზამთრის სეზონის გამარჯვებულად გამოცხადდა საერთო შედეგით, თუმცა სესტრიერის ქალთა სლალომში შეეპყვს ადგილი იემარა.



REUTERS სესტრიერედან

წყალბურთის ღიბა

ევროპის ჩემპიონთა ღიბა წყალბურთში სისველის მიუხედავად, ცეცხლოვანი შეჯიბრია. აი, ბარსელონელმა ხაგიერ ხანჩეს ტორილმა კინაღამ ჩაახრჩო ბელგრაძელი ნიკოლა რადენი.



REUTERS ბელგრადიდან

სარბიელი
საორბული გაზეთი

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჳოცხვერია
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიზრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორევიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგუშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ჳირაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალაქელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუსუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის ბაგრაძის ქ. 42, II
პირველი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ჭაბუკი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarblieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarblieli.com.ge>